თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი #4

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 19, სტუდენტები – 4, სულ –23 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების დამტკიცება
   /კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ე. მექვაბიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების დამტკიცება
   /კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ნ. თოდუა/

3. კურსდამთავრებულებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კორექტირების შესახებ;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

5. მიმდინარე საკითხები.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ საჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. ასოც. პროფ. ე. სეფაშვილმა საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა, რომ ნება დართონ საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია. საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა თანხმობა დღის წესრიგის მე–5 საკითხში – ,,მიმდინარე საკითხები" ფაკულტეტის საბჭომ მოისმინოს ასოც. პროფ. ე. სეფაშვილის ინფორმაცია და მას განესაზღვრა 5 წუთიანი რეგლამენტი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ა სილაგაძემ – მან აღნიშნა, რომ ე. სეფაშვილი არ არის ფაკულტეტის საბჭოს წევრი და ფაკულტეტის საბჭომ წინასწარ უნდა იცოდეს, რა საკითხზე სურს ასოც. პროფ. ე. სეფაშვილს გამოსვლა.

კენჭისყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 24 აპრილის #4 სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების დამტკიცება.

/კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ე. მექვაბიშვილი/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ წელს პირველად საუნივერსიტეტო დონეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ გამოყოფილიყო თანხები სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისთვის. შესაბამისად, ფაკულტეტზე შექმნა კომისიები, რომლებმაც განიხილეს წარმოდგენილი პროექტები.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგად დადგინდა გამარჯვებული პროექტები:

1. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი სიმონ გელაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა.
2. პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია – პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები.
3. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი ეთერ ხარაიშვილი – ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში.

სამივე პროექტი დაფინანსდა თანაბრად – 12 500 ლარის ოდენობით.
პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ მიესალმება ამ ინიციატივას და სამომავლოდ სამეცნიერო საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თ.ბერიძემ – მან აღნიშნა, რომ უერთდება პროფ.ე. მექვაბიშვილის აზრს სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურების შესახებ. ვინაიდან ეს იყო პირველი ცდა, შესაძლოა იყო ხარვეზები, თუმცა სამომავლოდ მოხდება ამ საკიხის თანდათანობით დახვეწა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგები, კერძოდ შემდეგი გამარჯვებული პროექტები:

1. ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა“ - პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი სიმონ გელაშვილი;
2. ,,პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ - პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია;
3. ,,ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“ პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი ეთერ ხარაიშვილი.

სამივე პროექტი დაფინანსდეს თანაბრად – 12 500 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგების დამტკიცება

/კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ნ. თოდუა/

პროფ. ნ. თოდუამ აღნიშნა, რომ ისიც უერთდება გამოთქმულ მოსაზრებას და იმ პირველ ნაბიჯებს, რომელიც გადაიგდა. სამომავლოდ მოხდება მისი განვითარება.

კომისიაზე წარმოდგეილი იყო 6 პროექტი, საიდანაც შეირჩა 3. 35000 ლარის ფარგლებში მოხდა პროექტების დაფინანსება.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით გამარჯვებულად გამოცხადდა შემდეგი პროექტები:

1. *პროექტი: „კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა /ხელმძ. პროფ. დემურ სიჭინავა/“ წარმოდგენილი ბიუჯეტის 80%–ით.*

2. *პროექტი: „ ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური მდგრადობა და მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები /ხელმძ. პროფ. ელენე ხარაბაძე/“ წარმოდგენილი ბიუჯეტის 80%–ით.*
3. *პროექტი: „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტიანობაზე /ხელმძ. ი. მესხია/“ წარმოდგენილი ბიუჯეტის 50%–ით.*

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თ. შენგელიამ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ინიციატივაა, რომ ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ მოძებნა რესურსები, რომელიც სამეცნიერო მიმართულებას გააქტიურებს. მან აღნიშნა შემდეგი: ,,მე ვიყავი კომისიის შემადგენლობაში, რომელიც განიხილავდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საკონკურსო პროექებს. აღსანიშნავია, რომ ყველა პროექტი დაწერილი იყო მაღალ დონეზე და ძნელი იყო საუკეთესოს გამორჩევა. ეს სუბიექტური პროცესია. გაიმართა ცხარე დისკურია და თითოეულ ჩვენთაგანს აკადემიური თავისუფლების ჩარჩოებში მიეცა საშუალება გამოგვეთქვა ჩენი მოსაზრებები ამა თუ იმ პროექტის შესახებ. პრიორიტეტი მიენიჭა იმ პროექტს, ვისაც იმ დარგში თუნდაც ერთი სტატია აქვს დაწერილი. ამ დისკუსიის შედეგად ჩვენ შევჯერდით, ობიექტურად, დებულების ყველა მუხლის დაცვით, ჩავატარეთ კენჭისყრა სრული აკადემიუროის დაცვით. კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის შემადგენლობამ 7 ხმით მხარი დაუჭირა 1 პროექტს.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლში წერია, რომ გამარჯვებულად გამოცხადდება და დაფინანსდება პროექტი/პროექტები, რომელიც დააგროვებს ხმების უმრავლესობას. მაგრამ მოხდა ის, რომ მეორე პროექტმაც, ღირსეულმა, ძლიერმა, ასეე მიიღო 7 ხმა. ვინაიდან 2 პროექტი იღებს თანაბარ ხმებს, უნდა დაფინანსდეს ასევე მეორე პროექტიც. ამით პროცედურა დამთავრდა და დებულების ეს მუხლი სრულად იქნა ათვისებული. მესამე პროექტმა მიიღო 5 ხმა, 2 ადამიანმა მისცა წინააღმდეგი. მე–4 პროექტმაც მიიღო 5 ხმა. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, დაიბადა აზრი იმის შესახებ, რომ გადანაწილდეს ბიუჯეტი (რაც დებულების იგივე მუხლის იგივე პუნქტის დარღვეაა). დებულებაში წერია, რომ პროექტების დაფინანსება მოხდება არსებული ბიუჯეტის გავალისწინებით. აქ არ არის გათვალისწინებული ის, რომ გამარჯებულ პროექტებს ჩამოეჭრას თანხები და მოხდეს ამ თანხის სხვა პროექტზე გადანაწილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კენჭისყრაზე დადგა ასე საკითხი, რომ გამარჯვეული პროექტის გარდა კიდევ მესამე ან მეოთხე პროექტს დავუმატებთ, მე ეს მიმაჩნია არასწორად.

საჭიროა დებულების გასწორება, ვინაიდან აქ მუხლები ერთმანეთს ფარავს. გამარჯვებულ პროექტებს მე მხარს ვუჭერ, მაგრამ თანხების ჩამოჭრა და სხვა პროექტებზე გადანაწილება არ მიმაჩია სწორად. საჭიროა ამ საკითხებზე კარგად დაფიქრება. ვინაიდან თქვენ ცემი გამოსვლა არ მინდა მიიღოთ ზეწოლად, მე კენჭისყრაში მოაწილეობას არ მივიღებ."

პროფ. ანანიაშვილი – ,,წინასწარ იყო განსაზღვრული რამდენი პროექტის დამატება იყო შესაძლებელი?"

პროფ. თ. შენგელია – ,,წინასწარ დათქმას წარმოადგენს დებულება, ეს იურიდიული დოკუმენტია. თუ ჩვენ გვინდა დოტაციური პროექტები შევქმნათ, მაშინ ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის დებულებით შეუძლია გამოსცეს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, რომლის შესაბამისად შეუძლია მოიძიოს მესამე პროექტის დაფინანსების წყარო, მაგრამ არა ამ დებულების დარღვევით."

პროფ. ნ. თოდუა –,,ბატონი თემურის მოსაზრებებს პატივს ვცემ და კომისიის სხდომებზეც ჩვენ ხშირად ვკამათობდით. მე მესმის მისი ნათქვამი, შეიძლება დებულებაში ბოლომდე გამართულად არ არის ჩამოყალიბებული ეს საკითხი, მაგრამ ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და ვამბობდით იმას, რომ გამარჯვების შემთხვევაში ნებისმიერი პროექტი მთლიანად ვერ დაფინასდებოდა. მესამე პროექტი გამარჯვებულად ჩაითვალა იმიტო, რომ მეტი ხმა მიიღო."

პროფ. თ შენგელია - ,,ბოლომდე უნდა ვიყოთ ობიექტურობი. კრიტერიუმს განსაზღვრავს დებულება. ჩანაწერში ცალსახად წერია, ხმების უმრავლესობით უნდა მოხდეს გამარჯვებული პრეოქტების დადგენა. იგივე დოკუმენტში მე–8 მუხლში წერია, რომ სად შეიძლება ეს სახსრები მიზნობრივად იქნას გადანაწილებული: თუ თანხები არ იქნა ათვისებული, იმ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შესაბამისი კომისიის შუამდგომლობით თანხა გაუნაწილოს მეორე მიმართულებას. ჩემი წინანდადება არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, მინდა, რომ მომავალ წელს არ დავუშვათ შეცდომა – უპირატეს პირობებში პიროვნებათა ჯგუფის ჩაყენება."

საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. ბერიძე – მან აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე პერიოდულად საბჭოზე უნდა მოხდეს გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის განხილვა, სტატიები უნდა განთავსდეს პუბლიკაციების სახით და პროექტების ხელმძღვანელებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის შედეგები, კერძოდ შემდეგი გამარჯვებული პროექტები:

1. „კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა /ხელმძ. პროფ. დემურ სიჭინავა/“ - წარმოდგენილი ბიუჯეტის 80%–ით;
2. „ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური მდგრადობა და მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები /ხელმძ. პროფ. ელენე ხარაბაძე/“ - წარმოდგენილი ბიუჯეტის 80%–ით;
3. „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტიანობაზე /ხელმძ. ი. მესხია/“ - წარმოდგენილი ბიუჯეტის 50%–ით.

მოისმინეს: კურსდამთავრებულებისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ქ-ნი ე. კვირიკაშვილის სამსახურეობრივი ბარათი (# 2872/29, 15.04.2015), სადაც აღნიშნულია, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან შემოვიდა წერილი (#01/807, 24.03.2015), რომლითაც მოითხოვეს 2015 წლის კურსდამთავრებულებისთვის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

1. *ლამის ასალი (პასპორტის #12173423; პირადი #0-4319058-6)*

დიპლომი ჩვეულებრივი

1. *ნათია ფურცხვანიძე (პირადი #60001131023)*
2. *მარინა მგელაძე (პასპორტის #EE250907; პირადი #3175616366)*

წერილს თან დაერთვის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მიერ წარმოდგენილი წერილის და დოკუმენტების ასლები – 15 ფურცელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

2. ლამის ასალი (პასპორტის #12173423; პირადი #0-4319058-6)

დიპლომი ჩვეულებრივი

3. ნათია ფურცხვანიძე (პირადი #60001131023)
4. მარინა მგელაძე (პასპორტის #EE250907; პირადი #3175616366)

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (# 2731/29, 15.04.2015), სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი ჭეიშვილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩაირიცხა 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (კერძოდ, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტიდან) და IV სემესტრიდან სწავლა ეკონომიკის მიმართულებაზე გააგრძელა. 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მონაწილეობა მიიღო შიდა მობილობაში, შეიცვალა სპეციალობა და V სემესტრიდან სწავლა გააგრძელა ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულებით.

აღნიშნული წერილის საფუძველზე ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს გიორგი ჭეიშვილს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი გიორგი ჭეიშვილს.

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (# 2963/29), სადაც აღნიშნულია, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან შემოვიდა წერილი (#198/104-00, 18.03.2015), რომლითაც მოითხოვეს 2014-2015 სასწავლო წლის

შემოდგომის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭება.

აღნიშნული წერილის საფუძველზე ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი ტურიზმის საერთაშოროსო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

1. გიორგობიანი ხატია 41001030578
2. ფასიეშვილი მარიამ 01001065700
3. ჩაჩხიანი გიორგი 31001048870
4. ხარაზიშვილი მადონა 24001042524

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი ტურიზმის საერთაშოროსო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

5. გიორგობიანი ხატია 41001030578
6. ფასიეშვილი მარიამ 01001065700
7. ჩაჩხიანი გიორგი 31001048870
8. ხარაზიშვილი მადონა 24001042524

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (# 2964/29), სადაც აღნიშნულია, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან შემოვიდა წერილი (#281/104-00, 17.04.2015), რომლითაც მოითხოვეს 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის ნინო ტატიშვილისთვის ხარისხის მინიჭება.

აღნიშნული წერილის საფუძველზე ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში"

აკადემიური ხარისხი ტურიზმის საერთაშოროსო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს ნინო ტატიშვილს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ აკადემიური ხარისხი ტურიზმის საერთაშოროსო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს ნინო ტატიშვილს.

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კოორდინატორის ლ. ტაბატაძისა და პროგრამის მენეჯერის ს. ჯვარშეიშვილის განცხადება (#2888/29, 16.04.2015), რომლის მიხედვითაც ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი მიენიჭოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ სასწავლო წლის კურსდამთავრებულს ვალერიანე ჯოხაძეს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ვალერიანე ჯოხაძეს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (#2953/29, 21.04.2015), სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (#12367/02, 02.04.2015), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატიტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულის სოფიო ბუთხუზის დიპლომის დანართი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სოფიკო ბუთხუზი 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება #4/852, 2.08.2003).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისის აკადემიური ხარისხის მინიჭებისადა დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 4 აპრილის #531/01-04 ბრძანებით სოფიო ბუთხუზს მიენიჭა მეცნიერების ბკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით (ბრძანება #531/01-04, 04.04.2008).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის თაობაზე რექტორის #531/01-04 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 19 ნოემბრის #1916/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზს, ნაცვლად სოფიო ბუთხუზისა მიენიჭა მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით.

სოფიკო ბუთხუზის დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების შესაბამისად. მოქმედი კანომდებლოის მიხედვით არასწორად აქვს მინიჭებული ხარისხი და მას უნდა მიენიჭოს ,,მატემატიკის ბაკალავრის“ ხარისხი.

მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეს საკითხი დააზუსტა იურისტებთან და გაირკვა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭო უფლებამოსილია მიანიჭოს ,,მატემატიკის ბაკალვრის აკადემური ხარისხი“, და რომ სამართალმემკვიდრე ანიჭებს ხარისხს. რადგან ეს სტუდენტი 2003 წელს ჩარიცხული იყო ეკონომიკის ფაკულტეტზე, სამართალმემკვიდრე ეს ფაკულტეტია და ამიტომ საბჭომ უნდა დააკორექტიროს ეს ხარისხი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ი. ანანიაშვილმა – მან აღნიშნა, რომ ხარისხის კორექტირება ამ ფორმით შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი თ. ბერიძე – მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლას და დამატებით კონსულტაციებს, რის საფუძველზეც საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხი ვერ დადგება კენჭისყრაზე.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერმა საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის 23-24 ოქტომბერს დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში.“

კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის დაარსების 50 წლის იუბილეს.

ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია კონფერენციის გეგმიური ხარჯთაღრიცხვა ჯამში 10 000 ლარის ოდენობით. ხარჯთაღრიცხვაში დეტალურად განხილულია ხარჯები აქტივობების და მუხლების მიხედვით. ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი დ. სიჭინავა საბჭოს თხოვს აღნიშნული თანხის გამოყოფას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში" ჩატარებისთვის გამოიყოს თანხა 10 000 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: ასოც. პროფ. ე. სეფაშვილის განცხადება

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილმა აღნიშნა შემდეგი: ,,მოგესალმებით კოლეგებო, მეგობრებო, ჩემო მასწავლებლებო. დღეს ჩემი გამოსვლა განაპირობა იმ ვითარებამ, რაც შეიქმნა საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულებით. მინდა ფაკულტეტის საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით იყოს საქმის კურსში, იცოდეს ინფორმაცია და ის მიმდინარე მოვლენები, რაც საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულებით ხორციელდება და ხდება. როგორც იცით, ამ კათედრას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ძალიან რთული ეტაპები გაიარა. მოგეხსენებათ, ეს კათედრა გაუქმდა 2009 წელს და კათედრის შემადგენლობა, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკის კურსებს ვუძღვებოდით, გადავედით ბატონ რეზო გველესიანთან ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე და კიდევ ერთხელ საჯაროდ მინდა მადლობა მოვუხადო ბატონ რეზოს. მან ყველანაირი პირობა შეგვიქმნა იმისთვის, რომ ჩვენ დაგვეცვა საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულება და შემდგომშიც გაგვენვითარებინა მოდულები ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე. მაგრამ ბატონი რეზო მარტო არ ყოფილა. მე ყოველთვის ვგრძნობდი ფაკულტეტის ყველა წევრის მხარდაჭერას მაშინდელი ფაკულტეტის დეკანის, ქ-ნ. ელენე ხარაბაძის თაოსნობით. შესაძლოა, ეს თანადგომა სიტყვით არ იყო გამოხატული, მაგრამ საქმით ეს ნამდვილად გამოიხატებოდა. ის ფაქტი, რომ ჩვენ შევინაჩუნეთ და დღემდე არსებობს საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულება, ეს ფაკულტეტის ყველა წევრის დამსახურებაა.

მოგეხსენებათ, 2013 წელს გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო შესაძლებელი გახდა ამ კათედრის აღდგენა და ცაკლე გამოყოფა, რასაც მივესალმები და მე ერთ-ერთი მომხრე ვიყავი ამ ფაქტის, მე დავწერე განცხადება და მე ვიყავი აქტიური ინიციატორი. მე ვიფიქრე, რომ თუ ფაკულტეტზე სახელწოდება ,,საერთაშორისო ეკონომიკა" ცაკლე არსად არ ფიგურირებდა, ახლა მოხდებოდა მისი ცალკე გაწერა, რა თქმა უნდა ეს წაადგებოდა საერთაშორისო ეკონომიკას და უფრო მაღალ დონეზე და უფრო კარგად განვითარდებოდა და მოხდებოდა მისი სრულყოფა. მოგეხსენებათ, იყო გარკვეული პრობლემები, მიუხედავად თქვენი გვერდით დგომისა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, რეალობა აღმოჩნდა უფრო განსხვავებული, ვიდრე ჩვენ ველოდით. კათედრა აღდგა არა

საერთაშორისო ეკონომიკის დასახელებით, არამედ მისი ძალიან ძველი დასახელებით: ,,საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.“ ამას წესით პრობლემა არ უნდა შეექმნა, მაგრამ პრაქტიკამ და განვლილმა წლებმა დაგვნანახა, რომ ამან შექმნა გარკვეული სირთულეები. როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს და ბოლონიის პროცესი სწორედ იმას გვკარნახობს, რომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებას და ანგლოსაქსურ განათლების სიტემას, იქით გადავრთოთ ჩვენი უმაღლესი განათლების სიტემა, რაც ფაქტობრივად უკვე განხორციელებულია და ახლა ჩვენ განათლების ხარისხის გაზრდაზე ვზრუნავთ. მე შევისწავლე საერთაშორისო გამოცდილება და ის უნივერსიტეტები და ფაკულტეტები, სადაც ორივე სპეციალობა არის წარმოდგენილი, როგორც წესი, არის ცალ-ცალკე. ოქსფორდის, ვენის, ლოძის, ციურიხის და ა.შ. უნივერსიტეტები ყველა წამყვან უნივერსიტეტებში ,,საერთაშორისო ეკონომიკის კათედრა“ არის ცალკე და ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა“ - ცაკლე.

გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ შარშან, 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკა გახდა. ეს აღარ არის მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ამოცანა. იგი ამოქმედდა და ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო უწყების და არამარტო სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს წრეების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების ძირითადი განმსაზღვრელი გახდა სწორედ ევრიონტეგრაცია. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენ მაქსიმალურად გავაძლიეროთ საერთაშორისო ეკონომიკის სწავლა და არამარტო. ეს უწყვეტი ჯაჭვია-მაკრო-მიკრო-საერთაშორისო ეკონომიკა. მოგეხსენებათ ჩვენი უნივერსიტეტი ამ მხრივ ურყევ კონკურენციულ უპირატესობას ფლობს საქართველოს უმაღლესი განათლების ბაზარზე. ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი, სადაც ასე კომპლექსურად და ძლიერად არის წარმოდგენილი, წარმოდგენილია იმ კადრებით, რომელსაც გუშინ არ დაუწყია მოღვაწეობა ამ სფეროში. ჩვენ ეს მხარე უნდა გავაძლიეროთ.

მე ვმონაწილეობდი ასოცირების ხელშეკრულების მომზადების პროცესში დღიდან მისი დაწყებისა დამთავრებამდე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე აშკარად იგრძნობოდა, რომ საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალისტები, რომლებსაც ცოდნა გამყარებული აქვთ მიკრო და მაკრო ეკონომიკით, ძალიან საჭიროა ნებისმიერი სტრუქტურის ფუნქციონირებისთვის. მოლაპარაკების პროცესში ხდებოდა არასამთავრობოების, აკადემიური, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრა და აქ ნათლად დადგა სწორედ ეს საჭიროება - საერთაშორისო ეკონომიკა ერთ-ერთი წამყვანი და ფუნდამენტალური მიმართულება უნდა გახდეს, რომელიც წაადგება ჩვენს უნივერსიტეტს.

მე დიდი ხანია მუშაობა დავიწყე საერთასორისო ეკონომიკის მოდულის ინგლისურენოვანი ვარიანტის შემუშავებაზე და შემექმნა საერთაშორისო

ორგანიზაციებთან და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პრობლემა იმის გამო, რომ ვერ იგებენ, რატომ არის ეს ორი მიმართულება ერთად. ძალაიან ძნელია აუხსნა, რომ ჩვენ კრუგმანის სახელმძღვანელოთი ვასწავლით, იმ სახელმძღვანელოთი, რომელითაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ასწავლიან და ის გაერთიანებულია მათი თვალსაზრისით შეუსაბამო მიმართულებასთან.

გარდა ამისა პრაქტიკაში შეიქმნა პრობლემები კურიკულუმის, სილაბუსების ჩამოყალიბებისას, შარშან საგამოცდო ტესტებთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები, რაც გამოიწვია იმან, რომ ამ კათედრის კადრები, ჩვენ, ვისაც დამთავრებული გვაქვს ეს სპეციალობა, დაცული გვაქვს დისერტაციები ამ მიმართულებით, არ მოხდა ჩვენი რესურსის გამოყენება ამ ტესტების შემუშავების საქმეში, რაც ვფიქრობ ძალიან არასახელმწიფოებრივი საქციელია, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს არ აქვს გასაფანტი რესურსები. ჩვენი რესურსი უკვე ჩამოყალიბებულია და უნდა მოხდეს მისი სრულფასოვანი გამოყენება და არა მისი იგნორირება. ამან გამოიწვია ის, რომ სტუდენტებთან ტესტები შევიდა ძალიან დაბალი დონის, შეცდომებით სავსე, რამაც დააზარალა სტუდენტები და ჩვენ ამაზე მოვახდინეთ რეაგირება, თუმცა ეს პროცესი არ არის დამთავრებული, ველოდებით დარგობრივი კომისიის შექმნას. ასევე პრობლემა შეიქმნა კრუგმანის სახელმძღვანელოს თარგმნის პროცესში, იმიტომ, რომ გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა. ასევე მოთხოვნილი გვაქვს დარგობრივი კომისია და დღემდე ეს პროცესი არ არის დაძრული. ასევე ველოდები არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ შეიძლება საერთაშორისო ეკონომიკა ცაკლე და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია - ცალკე, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის ცალკე აღდგენას არ სჭირდება არანაირი დამატებითი ფინანსური რესურსები, არც კონკურსის გამოცხადება. ფაკულტეტზე არის ის ხალხი, რომელიც ამას წლების მანძილზე ახორციელებდა და დატვირთვა დაახლოებით 2000 საათი ფაქტობრივად იმ კადრების მიერ იყო უზრუნველყოფილი, რომელიც უნივერსიტეტს უკვე გააჩნია. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან დიდი უპირატესობა იმის გამო, რომ ჩვენთან ისწავლება ეკონომიკურ მოძვრებათა ისტორია და ეკონომიკის ისტორია და ეს სრულფასოვანი ეკონომისტის ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონი ავთო არის ამ მიმართულების სპეციალისტი და ვფიქრობ, რომ მან ამ მიმართულებას გაცილებით დიდი ყურადღება უნდა მიანიჭოს და მის განვითარებაზე იზრუნოს, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკის განვითარება სხვა სპეციალისტებს დაუთმოს. მე ზემოთ მინდოდა მეთქვა და გამომრჩა წარმომადგენლობის საკითხი - ის ფაქტი, რომ ჩვენი კათედრიდან თანაბრად არ არის წარმოდგენილი საერთაშორისო ეკონომიკა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია და ეკონომიკის მოძღვრებათა ისტორიის სასარგებლოდ არის წარმომადგენლობა, მე დღეს სიტყვა მეზღუდება, მე ვერ ვიცავ საერთაშორისო ეკონომიკის ინტერესებს.

დასკვნის სახით, მე მინდოდა გცოდნოდათ ეს ინფორმაცია. ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის ყველა წევრი უნდა იცნობდეს ამ ინფორმაციას. დღემდე ველოდები დარგობრივი კომისიების შექმნას და არგუმენტირებულ პასუხს, თუ რატომ არ შეიძლება ,,საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის" შექმნა ცაკლე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ მოითხოვს არანაირ დამატებით მტერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და საკადრო რესურსს. გმადლობთ ყურადღებისთვის!"

სხდომის თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე - ,,მადლობა მინდა ვუთხრა საინტერესო ინფორმაციისთვის, რომლის გასააზრებლადაც ჩვენ დრო გვექნება და ასევე ბატონ ავთანდილს ვთხოვო 5 წუთი დაუთმოს გამოსვლას."

პროფ. ა. სილაგაძე - ,,მოგესალმებით კოლეგებო! მე რა თქმა უნდა ველოდი, რომ ასეთი ფორმით მოხდებოდა საბჭოზე ამ საკითხის განხილვა. ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ეს იყო ინფორმაციის სახით წარმოდგენილი ქალბატონი ეკას მხრიდან. დიდი მადლობა, რომ საკმაოდ კორექტურლი იყო ქალბატონი ეკა, განსხვავებით ამ საკითხში ბოლო პერიოდის ურთიერთობიდან, თუმცა ყოველთვის ვამბობდი და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: საერთაშორისო ეკონომიკა იქნება თუ სხვა სპეციალობა, მონოპოლიური უფლება არავის არ აქვს, არც ერთ პროფესორს, აკადემიურ პერსონალს და მათ შორის ჩვენც და თუ მაინცდამაინც საუბარია ამაზე და ჩვენ ეს გვინდა, მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ, რადგან კათედრების სისტემა არის მოგონილი, რომელიც არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული და ამ საკითხს ალბათ სხვა დროს შევეცდები რომ დავასაბუთო. ეს პირადი მოსაზრებაა. არავითარი გადაწყვეტილების უფლება არ აქვს კათედრას მოქმედი კანონმდებლობით. მას აქვს მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. ქ-ნი ეკა წლების მანძილზე მუშაობს და კარგი სპეციალისტია. როდესაც საკუთარ დამსახურებაზე ვიტყვით რამეს, სამართლიანი ვიქნებით მაშინ, როდესაც ვიტყვით, რომ ჩემი დეკანობის პირობებში მოხდა საქართველოში პირველად (და ეს ჩემი და პროფ. ვ. ადვაძის დამსახურება იყო), ჩავედით მოსკოვში (ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული საბჭოთა კავშირი) და ოფიციალური წერილი ჩამოვიტანეთ. ჯერ ერთი, საუბარი სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, მაგრამ მეორე - ეს მე რა უფლებას მაძლევს? ყველას უფლება აქვს, რომ თავისი პოზიციები გამოთქვას. როდესაც მე წავედი, ეს კათედრა იყო ერთიანი. როდესაც მე არ ვიყავი, ეს კათედრა სამწუხაროდ არ იყო და თქვენ იცით, რომ ამის შესახებ მე ვწერდი. როდესაც დავბრუნდი, არა წლები, არამედ ერთ წელზე ცოტა მეტი... რა მოხდა ამ ერთი წლის მანძილზე? ერთი წლის წინ, ქ-ნო ეკა, მომმართეთ, რომ კათედრაზე გინდოდათ მუშაობის გაგრძელება, რომელიც დავაკმაყოფილე. ძალიან ვწუხვარ, რომ მაშინ იყო ისეთი ხალხი, რომელთანაც სიამოვნებით ვითანამშრომლებდი, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, რომ არ გაეგრძელებინათ ჩვენს კათედრაზე მოღვაწეობა. რა მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში. ხომ არ იყო, ქ-ნო ეკა, ეს მიზეზი იმისა, (თქვენ სამართლიანად შესაძლოა წუხხართ), მაგრამ არ აგირჩიათ კათედრამ? ბ-ნ ჯემალ ხარიტონაშვილს მისცა კათედრამ ხმა. არ აგირჩიათ კათედრამ და თქვენ არ ხართ მარტო კათედრა. ექვსი კონკურსით არჩეული პიროვნება არის, რომელიც არ იზიარებს თქვენს პოზიციას. როცა თქვენი კანდიდატურა ჩავარდა კათედრაზე

საბჭოს წევრობისათვის, ამის შემდგომ დაიწყო თქვენი მოღვაწეობა კათედრის დაშლის თაობაზე - საჩივარი, განცხადება...გაქვთ უფლება რა თქმა უნდა. მე არ დამისვამს საკითხი კრუგმანის თაობაზე კომისიის შექმნის შესახებ. ეგ თქვენი განცხადების საფუძველზეა ქ-ნო ეკა."

ასოც. პროფ. ე.სეფაშვილი - ,,მე არ ვუარყოფ ამას."

პროფ. ა. სილაგაძე - ,,ნებისყოფა გვეყოს...აუდიტი დადებს მასალებს და საბჭოს ექნება საშუალება შემდეგ გააკეთოს შეფასება, ამიტომ ამ საკითხს მე ახლა არ შევეხები. დიახ, ჩემი ინფორმაციით არის, მაგრამ თქვენი განცხადების საფუძველზე.. მე არ მინდოდა სამწუხაროდ ის ფაქტები გამხადარიყო სამჯელო, რაც სამწუხაროდ შესაძლოა გახდეს აუდიტის მიერ. დაველოდოთ დასკვნას და ვიმსჯელოთ ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს არ არის პრობლემა.

რაც შეეხება ტესტებთან დაკავშირებულ საკითხს: მე ნამდვილად პატივს გცემთ და ვიცი, რომ კვალიფიციური ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენ ხომ მოგმართეთ წერილობით კათედრის ყველა წევრს...თქვენ თქვით, რომ ტესტების შედგენაში არ ჩაგვრთესო. ოფიციალური წერილია ამის შესახებ. ჩვენ მოგმართეთ და თქვენ არც კი გამოგვიგზავნეთ პასუხი."

სხდომის თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე - ,,ბატონო ავთო, მე გთხოვთ კონკრეტული საკითხები დასვათ კათედრის პროფილთან დაკავშირებით და ამის შესახებ ვისაუბროთ."

პროფ. ა. სილაგაძე - ,,კათედრის პროფილთან დაკავშირებით რომ დასვა საკითხი, ტესტებსაც შეეხო და ბატონო თემურ, მე ამას უნდა გავცე პასუხი, ჩანაწერი არსებობს, ამოიღეთ და მოუსმინეთ. ითქვა, რომ ტესტებთან დაკავშირებით არ იქნა მათი რესურსები გამოყენებული. მე ვპასუხობ, რომ, ოფიციალური წერილი არის და ნებისმიერს შემიძლია ვაჩვენო (წამობრძანდით კათედრაზე და გაჩვენებთ). გავუგზავნეთ ყველას, რომ თავისი მოსაზრებები ტესტებთან დაკავშირებით გამოეგზავნათ. არ გამოგზავნეთ თქვენ, ქ-ნო ეკა."

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - ,,ეს არის ტყუილი ბატონო ავთო და ილაპარაკეთ სიმართლე. მე ტესტების სამუშაო ვარიანტი გადმოგიგზავნეთ და საბოლოო ვარიანტი მე არ მინახია. ის ტესტები იყო შეცდომებით სავსე. ასეთი ტესტები ჩვენგან არ გავიდა და დაუკვირდით თქვენს ტყუილებს, ძალიან გთხოვთ. მე ტყუილს არ მოვითმენ. საბოლოო ვარიანტი, რომელიც წავიდა საგამოცდო ცენტრში, მე არ მინახავს. საგამოცდო ტესტები იყო შეცდომებით სავსე და სწორედ ამას ვადასტურებ."

პროფ. ა. სილაგაძე - ,,საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ საბჭოს ნებისმიერ წევრს გაჩვენებთ ოფიციალურ წერილს, რომელიც მისი მისამართით არის გაგზავნილი. ასევე ყველას მისამართით...მათ არ გააკეთეს."

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - ,,5 წუთი გავიდა და შეაწყვეტინეთ.“

პროფ. ა. სილაგაძე - ,,მე საბჭოს წევრი ვარ და ვერ შემზღუდავთ, მე მაქვს უფლება ვისაუბრო, არავითარი რეგლამენტი. პასუხი უნდა გავცე შეკითხვებს. მე მოგმართავთ საბჭოს წევრებს: მას შემდეგ რაც არ გააკეთეს, ამის შემდეგ კათედრის წევრებმა შევადგინეთ ვარიანტი, რომელიც მაინც გავუგზავნეთ, რომ თუ რამე შენიშვნები ჰქონდა, მოეცა ეს შენიშვნები.“

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - ,,არ გამოუგზავნია, ეს არის ტყული, აკადემიკოსი მაინც არ იყოთ გრცხვენოდეთ.“

პროფ. ა. სილაგაძე - ,,არ გამოგვიგზავნეს შენიშვნები და გამოცდები როდესაც დამთავრდა, იჩივლეს პირველ კორპუსში. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი რასაც ვამბობთ. რა არის ტყული, არ იჩივლეთ? ხარისხის სამსახურში ხომ იჩივლეთ? არ შეგეძლოთ დეკანის სახელზე დაგეწერათ? რატომ არ მოგვეცით შენიშვნები? ეს ყველაფერი დადასტურებულია დოკუმენტებით. რატომ არ მოგვეცით შენიშვნები? “

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - დიახ ვიჩივლე, დავწერე დეკანის სახელზე და ეს ჩვენ განვიხილეთ კათედრის სხდომაზე.“

პროფ. ა. სილაგაძე - ,,ქ-ნო ეკა, თქვენ მოგიწევთ დასაბუთება აუდიტის წინაშე, რატომ გამოწერეთ თანხები და არ იყო სამუშაოები შესრულებული. ამიტომ ნუ ღელავთ, მოგიწევთ პასუხის გაცემა, ამას ვერ უშველის ვერავითარი თანამდებობა, მაგაზე პასუხის გაცემა მოგიწევთ და რომელი დასკვნაც იქნება გაკეთებული, იქაც საჭირო ინფორმაცია მიეწოდება. თარგმანთან დაკავშირებით წარმოიშვა წინააღმდეგობა: ვინმემ იცის ფულის ფუნქცია, როგორც ღირებულების შენახვის საშუალება? ამაზე რომ შენიშვნას ვაძლევ, არ სწორდება ეს. ეს ინგლისური ენის ცოდნის საკითხი კი არ არის, სპეციალობის არცოდნის საკითხია და ამას აღარ გავაგრძელებ. ასეთი ფაქტები უამრავია.

რაც შეეხება კათედრას, ამის პრობლემა არ არის. ფორმა არის არასწორი. მე კათედრის გამგე ვიქნები თუ არა, ამას ჩემთვის აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა. განაწყენებული ადამიანი, როდესაც ვერ იღებს მხარდაჭერას კათედრიდან და ელოდება შედეგს და როდესაც შედეგს აცხადებენ, მერე ამბობს რომ ცირკები იყო...რომ გაემარჯვა ასე ხომ არ იქნებოდა? ამის შემდეგ ხდება ეს ყველაფერი. რა პრობლემაა მენეჯმენტის? მე იმის გამოცდილება არ მაქვს, რომ წარვმართო სიტუაცია და მე ვინმესგან მესწავლება ეს საკითხი?“

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - ,,შედეგი სახეზეა.“

პროფ. ა. სილაგაძე - ,,შედეგი სახეზეა - უარი გითხრათ კათედრამ, თქვენს გარდა სხვაც არის, არ დაგიჭირათ მხარი. უამრავი შეცდომაა თქვენს თარგმანებში. ფული, როგორც ღირებულების შენახვის ფუნქცია - ლექტორმა კი უნდა იცოდეს რომ ასეთი ტერმინებით სტუდენტებს არ ელაპარაკოთ და არასწორია. იმიტომ, რომ ჩემთან

თანამშრომლობა არ გინდათ. დავბეჭდოთ ასეთი? სხვა გითხრათ კიდევ? უამრავი შეცდომაა. რაც შეეხება კათედრის საკითხს, თვითონ არ აწყობთ ზოგიერთებს კოორდინაცია, როდესაც მე ვითხოვ და ამის უამრავი ფაქტი არსებობს. რა პრობლემაა, საერთოდაც შესაძლოა გაუქმდეს კათედრა ან გამოეყოს, თუ ეს არის აუცილებელი. შეიძლება, რა თქმა უნდა, ორი გავაკეთოთ საერთაშორისო ეკონომიკის კათედრა, მაგრამ ფორმა არის მიუღებელი, არგუმენტია მიუღებელი, განაწყენებული პოზიციიდან მოქმედებაა მიუღებელი. ყოველი ორი ადამიანი თუ ასე გააკეთებს, მაშინ ასეთი ყველა კათედრაზე აღმოჩნდება და უნდა დაიშალოს კათედრები? მივალთ დაშლამდე. ამიტომ არგუმენტი თუ იქნება, ყველაფერის გაკეთება შეიძლება. მე არ ვყოფილვარ კათედრის გამგე, დეკანი თუ პრორექტორი? ვერავინ ვერ გამაკვირვებს მე, ორი მინისტრის პოსტი მეკავა 5-6 წლის განმავლობაში. ვერავინ ვერ გამაკვირვებს და ვერავინ ვერ დაიწყებს ზემოდან საუბარს და ხელების შლას ჩემს წინაშე, ისევე როგორც თქვენს წინაშე. თუკი ფაკულტეტი ასე ჩათვლის და იქნება ამის არგუმენტი, რა თქმა უნდა გადაწყვეტილება შეიძლება იქნას მიღებული.

ბოლოს მე მინდა გითხრათ: ქ-ნი ეკას მიერ რამდენიმე მიმართულებით გაკეთებულია საჩივარი. მინდოდა, რომ ბოლომდე დავლოდებოდი დასკვნებს. როდესაც დასკვნები გაკეთდება, თქვენ გექნებათ ინფორმაცია და მე გავაკეთებ ინფორმაციას. მანამდე მაქსიმალურად თავს შევიკავებ კომენტარისაგან.“

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი თ. ბერიძე - ,,გმადლობთ! ინფორმაცია არის მისაღები, ყურადსაღებია. ჩვენ ვართ ერთი ოჯახი ფაკულტეტზე და ბუნებრივია ყველა საკითხი უნდა განვიხილოთ საბჭოს სხდომაზე. მეორე მხრივ და ეს ალბათ ჩემი ხარვეზიც არის, ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კათედრის შიგნით და არ უნდა გამოტანილიყო საბჭოს სხდომაზე. თუმცა ჩვენ ვართ ერთი ოჯახი და პრობლემები უნდა განვიხილოთ საბჭოს სხდომაზე.“

ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი - ,,მე თქვენს წინაშეც დავაყენე ეს საკითხი და მინდა გითხრათ, რომ თქვენგან ვერ მივიღე ვერანაირი გადაწყვეტილება და ამიტომ გავედი გარეთ.“

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტოს
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე